ოქმი:**ო08. 3725359001**

თარიღი:**25/12/2025**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 24 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

15:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, დ. ასათიანი, ლ. მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ.თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტთან დაკავშირებით. საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაციის მიზნით, მოკლე მიმოხილვა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ.ჭყონიამ. თანამომხსენებელმა აღნიშნა,რომ დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების საერთო მოცულობა შეადგენს 105 183 651,85 ლარს. მისივე განცხადებით, 4 500,0 ლარით გაიზარდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკომპენსაციო თანხა. რაც მნიშვნელოვნია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ასევე,გაიზარდა სკოლების მცირე ინფრასტრუქტურის

განვითარებისათვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა. პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს დამატებით მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეულ პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსების შესახებ. საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისას კომისიის წევრების მხრიდან კონკრეტული შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი